



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№367

2017 წლის 7 აპრილი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“. კერძოდ, ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


- „მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
 - გიორგი ბოკერია - კომისიის თავმჯდომარე - (გამგებლის პირველი მოადგილე);
 - გიორგი მჭედლიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოდგილე (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);
 - ალექსანდრე ბაინდურაშვილი - საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;
 - ალექსანდრე ტალახაძე - ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;
 - ნათელა დათუკიშვილი-იურიდიული სამსახურის უფროსის მ/ შემსრულებელი;
 - თამარი დარბაიძე - კომისიის მდივანი (იურიდიული სამსახურის მთ.სპეციალისტი);

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს გამგებლის პირველ მოადგილეს გიორგი ბოკერიას.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია